საქართველოს მთავრობის

დადგენილება №677

2018 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, გუდაურის სარეკრეაციო ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდები: №74.06.14.002; №74.06.11.865; №74.06.11.866; №74.06.14.008; №74.06.11.973; №74.06.11.408) კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**